



ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია

პროფესიული მომზადების პროგრამის დასახელება -

დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში

თბილისი
2019



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში
<p>პროგრამის სახე:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება</p> <p><input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება</p>
<p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:</p> <p><input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5</p>
<p>პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა</p>
<p>კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 18 საათი; 3 დღე, დღეში 6 საათი</p>
<p>მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:</p> <p>მინიმალური - 5 მაქსიმალური - 20</p> <p>ერთდროულად შესაძლებელია 5 ჯგუფის სწავლება</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: - საბაზო განათლება</p>
<p>პროგრამის მიზნები:</p> <p>პროგრამის მიზანია იმ ცოდნისა და უნარების მიქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კვალიფიციურად შეძლებენ საქართველოს ბაზარზე ოპერირებადი იმპორტიორი და ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, საქონლის რეალიზების არხების მოძიებას, საქონლის მიწოდებას/დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას და ამ პროცესთან დაკავშირებული მარტივი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას.</p>
<p>სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)</p>

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

1. მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევა
2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაყიდვების ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება
3. პროდუქციის ეფექტიანი განლაგება (მერჩენდაიზინგი)
4. შეკვეთების მიღება და გაფორმება
5. ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელება
6. საწყობიდან პროდუქციის მიღება/ჩაბარება
7. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქონლის ლოგისტიკური ოპერაციების განხორციელება
8. პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შევსება და შეგროვება
9. განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შეგროვება

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორი (კოდები: 46.1; 46.11; 46.13; 46.15; 46.16; 46.17; 46.18; 46.3; 46.4; 46.5)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO - კოდი: 3322; 3323; 5242)
- ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის დასაბუთება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ (იხ. დანართი N5)

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, ვისაც უდასტურდება მინიმუმ საბაზო განათლების ფლობა და სურვილი აქვს პროფესიული საქმიანობა გააგრძელოს სავაჭრო სფეროში. სწავლების 8 კვირის განმავლობაში მსმენელები თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას გაივლიან შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის სიმულაციურ გარემოში, სადაც დარგის სპეციალისტებისგან მიიღებენ თანამედროვე ცოდნასა და უნარებს. დანარჩენი 4 კვირის განმავლობაში, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის ქსელში გაერთიანებულ კომპანიებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის, ალკოჰოლური და არალკოჰოლური გაზიანი და მის გარეშე სასმელების, თამბაქოს, ე.წ. „ქიმიის“, სამშენებლო მასალების, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სათამაშოების, ფარმაცევტული და სხვა სახის საქონლის ვაჭრობა/დისტრიბუცია.

სწავლების პროცესი წარმართება ინტერაქციული და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების გამოყენებით. მსმენელები სიტუაციური სავარჯიშოებისა და პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით მიიღებენ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ცოდნას და განვიითარებენ შესაბამის უნარებს. მსმენელები შეფასდებიან როგორც თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტში, ისე კონკრეტული დავალებების შესრულების პროცესში. სწავლებისა და შეფასების მოცემული მეთოდები უზრუნველყოფს მაღალი კომპეტენციის კადრების მომზადებას და დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებას.